სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
02.09.2015№ 164

თბილისი

სტუ-სა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი ბაკალავრიატის პროგრამების სტუდენტებისათვის 2015-2016 სასწავლო წლის სასწავლო განრიგის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, "საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესის და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის №20 დადგენილების, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციისა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანის, ბატონი კენეტ უოლშის 2015 წლის 1 სექტემბრის №SDSU 097-09-15 წერილის საფუძველზე, 2015-2016 სასწავლო წლის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. 2015-2016 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი) ჩატარდეს 2015 წლის 28 სექტემბრიდან 2015 წლის 9 დეკემბრამდე;
   დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2015 წლის 9 დეკემბრიდან 16 დეკემბრის ჩათვლით. დამატებითი გამოცდები დაინიშნება სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად;
   ადმინისტრაციული რეგისტრაცია და ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს 2015 წლის 3 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია – 2015 წლის 21 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით;
2. 2015-2016 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) ჩატარდეს 2016 წლის 29 თებერვლიდან 2016 წლის 16 მაისის ჩათვლით;
   დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2016 წლის 23 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით. დამატებითი გამოცდები დაინიშნება სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად;
   ადმინისტრაციული რეგისტრაცია განხოციელდეს 2016 წლის 1 თებერვლიდან 14 თებერვლამდე, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია – 2016 წლის 15 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით;
3. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია ჩატარდება მისამართზე: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ. №5, მესამე სართული, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანატი (საკონტაქტო ტელეფონი: 2 311 611);

4. სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (შემდგომში – ელექტრონული უწყისი) სტუდენტთა დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები შეიტანოს შეფასების/გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში (17 საათამდე);
5. სემესტრის ბოლოს, არა უგვიანეს დამატებითი გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა, სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. დეპარტამენტის სპეციალისტი მოახდენს უწყისის რეგისტრაციას და არსებული წესის მიხედვით გადასცემს დეკანატს;
6. დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს:
6.1. სემესტრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ ინფორმაცია აკადემიური ჯგუფების მიერ მიმდინარე სემესტრში გეგმიურად გასავლელი სასწავლო კურსების ელექტრონული უწყისების ფორმირების დასრულების შესახებ;
6.2. სესიების დაწყებამდე ერთი თვით ადრე სწავლების დეპარტამენტში შესათანხმებლად წარადგინონ დასკვნითი გამოცდების ცხრილი;
6.3. სემესტრის დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ მოხსენებითი ბარათები სემესტრის ჩატარების, საბოლოო შედეგებისა და სტუდენტთა შეფასებების უწყისების რეგისტრაციის დასრულების შესახებ, აგრეთვე სტუდენტთა რეიტინგული სიები;
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);
8. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი *ბ. მაისურაძე*